გეგმა მასშტაბი 1:100



გენგეგმა


4614550
საკადასტრო საზღვარი
ღობე
142,5 მ²
201,5 მ²
256,8 მ²
60,0 მ²
ნაყარი მიწა
ნანგრევი
nayari miwa
qa

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/2934-16

"03" 02 2016 წ.

დადგენილება №000890
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ

03.02.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. № 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი უკლებამ განვიხილე 2015 წლის 01 დეკემბრის №000890 მითითება და 2015 წლის 22 დეკემბრის №000890 შემოწმების აქტი, **შ.პ.ს. "კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №205178519, დირ. ავთანდილ ცოცხალაშვილი (პირადი №01011004992), მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №51-53) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №9ა (საკ. კოდი №01.17.12.003.161)-ში შ.პ.ს. "კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები"-ს მიერ განხორციელდა კაპიტალური კედლის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2015 წლის 01 დეკემბერს შედგენილ იქნა მითითება №000890, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის დემონტაჟისათვის ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2015 წლის 22 დეკემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000890, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წამყ. სპეციალისტის ლ. ჭითავას მოხსენებითი ბარათით 03.02.2016წ. ირკვევა, რომ განმეორებით იქნა გადამოწმებული მხარის №23137/07 26.01.2016წ. განცხადების საფუძველზე ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №9ა (საკ. კოდი №01.17.12.003.161)-ში მდებარე ობიექტი. გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ შ.პ.ს. "კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები"-ს მიერ დემონტირებულია უნებართვოდ აშენებული კაპიტალური კედელი. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები"-ს მიერ გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №9ა (საკ. კოდი №01.17.12.003.161)-ში დემონტირებულ იქნა უნებართვოდ აშენებული კედელი

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25 მუხლის მე-11 ნაწილის "ა" და "ბ" პუნქტებით

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შ.პ.ს. "კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები"-ს მიმართ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი ბ. შკლება



შპს „კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები“
„MODERN TECHNOLOGIES OF COMMUNICATION“ LTD

5-th floor, 51-53, Gorgasali Str., Tbilisi, Georgia, 0114 Tel.: 2-75-05-21
2-75-05-22
0114 თბილისი, გორგასლის ქ. №51-53, მე-5 სართული ტელ.: 2-75-05-35

№ 08 „28“ 03 2016

ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს

გთხოვთ, წერილობითი ფორმით დაგვიდასტუროთ, რომ ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი #9ა-ში მდებარე, შპს „კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიების“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კოდი 01.17.12.003.161) უკაკონო ნაგებობა (საყარაულო ჯიხური) არ არსებობს და ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურს პრეტენზია არ გააჩნია.

პატივისცემით
შპს „კავშირგაბმულობის თანამედროვე
ტექნოლოგიები“ დირექტორი ა. ცოცხალაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010171482157816

№16/94299

14 / აპრილი / **2016** წ.

შ.პ.ს „კავშირგაბმულობის თანამედროვე
ტექნოლოგიები"
მის: გორგასალის ქ., № 51-53, მე-5 სართული

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი 2016 წლის 28 მარტის N109476/07 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მითითების შესაბამისად, უნებართვოდ მოწყობილი ღობე და მასზედ განხორციელებული მცირე ზომის მიშენება ამჟამად დემონტირებულია.

დანართი: 1 ფოტოსურათი;

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი

გიორგი წერეთელი


06/04/2016 12:58